# ომი ღაზას სექტორში

**ისრაელისა და პალესტინის ბურჟუაზიის ყველა მხარე საკუთარი მოგებებისა და კაპიტალის გახრწნილი რეჟიმის დასაცავად პროლეტარიატს ომის სასაკლაოში მიუძღვება**

**იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ, რევოლუციური კლასობრივი ომისთვის!**

მას მერე, რაც 1948 წელს ებრაული სახელმწიფო დაიბადა და პანარაბულმა ნაციონალიზმმა საბოლოო მარცხი იგემა, პალესტინელი ხალხი უკვე 75 წელია განიცდის დეპორტაციებს, მასობრივ ჟლეტას, ტერორსა და უსასრულო დევნას.

ისრაელის სახელმწიფოს მიერ წამოწყებულ ჩაგვრას ხელს უწყობდნენ რეგიონის სხვა სახელმწფოებიც, რომლებიც პალესტინის შეიარაღებულ ორგანიზაციებს საკუთარი ძალაუფლების გასამყარებლად იყენებდნენ. „პალესტინური მისიის“ მხარდამჭერი ფარისევლური განცხადებების მიუხედავად, არც ისინი აკლებდნენ პალესტინელ ლტოლვილებს დევნასა და ხოცვას.

იორდანიაში 1970 წლის სექტემბერს, იორდანიისა და სირიის გაერთიანებულმა სამხედრო ძალებმა ჩაახშეს ამბოხი, რომელსაც მრავალი ათასი პალესტინელი დევნილის სიცოცხლე შეეწირა. ლიბანში 1976 წლის აგვისტოს, ფალანგისტებმა სირიის თანამონაწილეობით სხვადასხვა ასაკის ათასობით პალესტინელი მოკლეს თელ ალ-ზაათარის ბანაკში. 1982 წელს, ისევ ლიბანში, ფალანგისტებმა ამჯერად ისრაელის ოკუპანტი არმიის თანამონაწილეობით ათასობით პალესტინელი გაჟლიტა საბრას დასახლებასა და შატილას დევნილთა ბანაკში, ბეირუთის მისადგომებთან.

*„პალესტინური მისია“ არავის ანაღვლებს*, არავის აინტერესებს პალესტინელი პროლეტარიატის ბედი. სამაგიეროდ, დღეს ყველა მთავრობას ადარდებს მხოლოდ ომი, რომელიც ყველა ბურჟუაზიისთვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს. ამასთან, ცხადია, ყველა ომს საბაბი და გამართლება სჭირდება.

ისრაელის ბურჟუაზია ჰამასის თავდასხმას გამოიყენებს, რათა გაამართლოს საზოგადოების ყველა კლასში შიდა დისციპლინის ძალისმიერად გამყარება და პალესტინელი პროლეტარების სისხლისღვრა.

ჰამასმა, რომელიც თავდაპირველად იყო ისრაელის პაიკი „პალესტინის განმათავისუფლებელი ორგანიზაციის“ წინააღმდეგ, უნდა შეინარჩუნოს ტერორის რეჟიმი ღაზის პროლეტარიატზე. ამისთვის, უპირველეს ყოვლისა, ისრაელთან და ეგვიპტესთან მიზანმიმართული შეთანხმების საფუძველზე მათ უნდა სრულად შეუზღუდოს პროლეტარები ამ ღია ცისქვეშა ციხიდან გაქცევისგან, ვინაიდან მასობრივი ემიგრაცია მისივე ჩამოშლის გარანტი იქნება. ამ ყველაფრის პარალელურად „პალესტინის განმათავისუფლებელი ორგანიზაცია“ აკონტროლებს დასავლეთ სანაპიროს ისრაელის «ეგიდით» და სდუმს საკუთარი მეტოქეების ბედზე ღაზაში.

შედეგი, რომლის მიღწევასაც მთელი ბურჟუაზია ცდილობს, არის ახალი ხოცვა-ჟლეტის დაწყება რეგიონული ან შესაძლოა გლობალური ომისთვის მოსამზადებლად.

მოცემულ პირობებში ლპობის მდგომარეობაში მყოფი მსოფლიო კაპიტალიზმი მზადაა, ყველა სისხლისმღვრელი იარაღი გამოიყენოს და მილიონობით პროლეტარი დაუქვემდებაროს ტერორსა და საომარ ფრონტებს.

ინტერნაციონალისტმა კომუნისტებმა უნდა გამოვააშკარავოთ ამ საფრთხის რეალური საფუძვლები, რომლებიც მუდამ ნაციონალისტური, დემოკრატიული, ეთნიკური თუ რელიგიურ ბანერებითა არის დაფარული.

უნდა ვუთხრათ პალესტინელ პროლეტარებს, რომ არ მოტყუვდნენ თავიანთი ბურჟუაზიის მიერ, არ მიეყიდონ რეგიონულ ძალებს, არ იქცნენ საზარბაზნე ხორცად საკუთარი ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ ომში. უნდა მოვუწოდოთ ისრაელის ებრაელ პროლეტარებს, დაუპირისპირდნენ საკუთარ ბურჟუაზიასა და პალესტინელი კლასობრივი ძმების ეროვნულ ნიადაგზე ჩაგვრას. უნდა მოვუწოდოთ ყველა ქვეყნის მუშებს, რომ არ გაბრუვდნენ თავიანთი მთავრობების მიერ წარმოებული პროპაგანდით, რომელიც ისრაელის ან პალესტინის სისხლისმღვრელი ბურჟუაზიის მხარდაჭერისკენ მოუწოდებს.

მიმდინარე ომს მსოფლიოს ბურჟუაზია გამოიყენებს, რათა პროლეტარიატი დააშინოს და საკუთარ ინტერესებს ჩამოაშოროს, გაამართლოს მათი ხელფასების დაწევა, გაღარიბება და მსხვერპლად შეწირვა.

კომუნისტებმა უნდა მოვუწოდოთ პროლეტარებს, რომ ომის წინააღმდეგობა იწყება პროფკავშირული საქმიანობის გაძლიერებით, ხელფასების მომატებისა და სამუშაოს საათების შემცირებისთვის ბრძოლით.

ბურჟუაზია ვერ შეძლებს ომის წარმოებას, თუ სიცრუის პროპაგანდით მშრომელთა მსხვილი ფენა არ მოტყუვდება. ამ პროპაგანდას უნდა დავუპირისპირდეთ არა მხოლოდ ბურჟუაზიის ტყუილების საპირწონე სიმართლის თქმით, არამედ ამასთან ერთად პროლეტარიატის ბრძოლა საკუთარი მატერიალური საჭიროებებისკენ უნდა მივმართოთ, პრაქტიკული გამოცდილებისკენ, რის წინაშეც ბურჟუაზიისა და მუშათა შორის მათი მსახურების ცრუ, შემაცდენელი არგუმენტები უძლური და უმნიშვნელო იქნება.

პროლეტარიატი საკუთარი საარსებო პირობების მუდმივი გაუარესებისა და კაპიტალიზმის კატასტროფის პირისპირ, დაბადებს ბრძოლის უდიდეს ტალღას, რომელიც გადაკვეთს ყველა ზღვასა თუ საზღვარს.

ამ ახალ მსხვილ კლასობრივ ომში გასამარჯვებლად მსოფლიოს მუშათა კლასის აუცილებელი ორგანო, საერთაშორისო კომუნისტური პარტია, უნდა გაძლიერდეს.

**საერთაშორისო კომუნისტური პარტია**

**international-communist-party.org**